

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი

15.04.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნოდარ პაპუკაშვილი - შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ზურაბ გასიტაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი სალუქვაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს მდივანი;

გრიგორ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რევაზ დოლონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ირაკლი მჭედლიშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ევა ლეფსვერიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი;

თინათინ კაიშაური - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

თამარ აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

სააპელაციო საბჭოს სხდომაზე მოწვეული წევრები:

გიორგი თურქია - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ყოფილი წევრი;
გოჩა თუთბერიძე - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია:

სალომე პირველი - რექტორი;

მაკა კობალავა - ვიცე რექტორი;

მერაბ მიქელაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;

ნინო ბოჭორიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:15 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28⁷-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა საბჭოს წევრს, გრიგორ ტატიშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ, აკრედიტაციის დებულების 28⁶-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები აკრედიტაციის საბჭო ადმინისტრაციულ წარმოებაში, მათ შორის, ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ამ საბჭოს თავმჯდომარით ან მისი თანხმობით, საბჭოს სხვა წევრით. შესაბამისად საბჭოს სხდომას ესწრებოდა გიორგი თურქია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი) და გოჩა თუთბერიძე (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი).

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს უმაღლესი სასწავლებელ ჯორჯიას სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა წარმოდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. შპს უმაღლესი სასწავლებელ ჯორჯიას სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სიტყვა გადაეცა დაწესებულების წარმომადგენელს პოზიციის წარმოსადგენად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვიცე რექტორმა მაკა კობალავაშ განაცხადა, რომ საბჭოს ოქმის ჩანაწერი გახლდათ სუსტი, წარმოადგენდა ექსპერტთა მარტივი კომპილაციის გზით შედგენილ დოკუმენტს და არ ასახავდა იმ ადეკვატურ მოთხოვნებს რაც უნდა ყოფილიყო ასახული საბჭოს ოქმში მაშინ როდესაც საუბარი იყო მეორე სტანდარტთან შეუსაბამობაზე. აღსანიშნავი იყო, რომ სხდომის ოქმში აქცენტი კეთდებოდა ალბათობის თეორიასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში რჩევის სახით დაფიქსირებული იყო, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში სასურველი იქნებოდა ალბათობის თეორიის გათვალისწინება. ვიზიტის შემდგომ აღნიშნული რჩევა მიღებული იყო და მოდიფიცირების შედეგად სილაბუსში განხორციელებული იყო ცვლილება. წარმომადგენლის მოსაზრებით სხდომის ოქმში გაჩენილი ჩანაწერი ალბათობის თეორიასთან დაკავშირებით გაუგებარი იყო. ალბათობის თეორია არ ზომავდა პროგრამის მიზანს, პროგრამის განმახორციელებლებმა შექმნეს განმავითარებელი ჯგუფი და განახორციელეს კვლევა სხვა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამების მიხედვით, რამდენად იყო ასახული მათში ალბათობის თეორია. აღმოჩენილ იქნა, რომ 21 დაწესებულება რომელთაც გავლილი ჰქონდათ აკრედიტაცია, ალბათობის თეორია არ ჰქონდათ გათვალისწინებული 48 პროცენტს. 9.5 პროცენტს ალბათობის თეორია წარმოდგენილი ჰქონდა არჩევით სასწავლო კურსებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტების დასკვნაზე დაყრდნობით აკრედიტაციის სხდომის ოქმში ასახული იყო, რომ საბაკალავრო ნაშრომის გრაფაში მითითებული იყო სავალდებულო სასწავლო კურსები, თუმცა შესაბამის სილაბუსში არ იყო მითითებული ტერმინი სავალდებულო, რაც ვიზიტის დროს დაუყოვნებლივ იქნა აღნიშნული ექსპერტების მიერ და იყო გასწორებული. თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ დოკუმენტის დედანში აღნიშნულ ხარვეზს არ ჰქონდა ადგილი და შესაბამისად არც ცდომილება არ ფიქსირდებოდა. რაც შეეხებოდა სავალდებულო კურსებში ინგლისური ენის შეტანას, ერთ-ერთი საბჭოს წევრის მიერ გამოთქმული იქნა მოსაზრება იმის თაობაზე რომ უკეთესი იქნებოდა რომ სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული ყოფილიყო ინგლისურენოვანი ლიტერატურა. აღსანიშნავი იყო, რომ აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს 22-ე გვერდზე არსებული ჩანაწერის თანახმად თუ სავალდებულო მასალად მითითებული იყო ლიტერატურა, რომელიც მხოლოდ რომელიმე უცხო ენაზე იყო ხელმისაწვდომი, კურსზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული უნდა

ყოფილიყო შესაბამისი უცხო ენის ცოდნა სასწავლო მასალის დაძლევისათვის საჭირო დონეზე. აღნიშნულ შემთხვევაში უცხო ენის ცოდნა უნდა ყოფილიყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაც. პროგრამის სილაბუსებში მითითებული იყო შესაბამისი, ადეკვატური ლიტერატურა ქართულ ენაზე, რომელიც ასევე გადამოწმებული იყო ექსპერტთა კორპუსის მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა გიორგი თურქიას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დასაზუსტებელი იყო ტერმინი „ფულის ფასი დროში თუ ფულის ღირებულება დროში“, რომელიც მოცემული იყო სილაბუსში „ფინანსური მენეჯმენტი“. თუმცა მისი მოსაზრებით აღნიშნული გარემოება არ უნდა ყოფილიყო აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი. ასევე აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გაუდერებული იქნა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სილაბუსებში ადგილი ჰქონდა თემების გადაფარვას. აღნიშნული არ წარმოადგენდა სიმართლეს, მას წამოღებული ჰქონდა ყველა სილაბუსი სადაც თვალსაჩინო იყო, რომ მითითებული იყო სხვადასხვა ლიტერატურა და შინაარსიც არ ემთხვეოდა ერთმანეთს. აღნიშნული შენიშვნა ეხებოდა იმ სილაბუსებს სადაც განხილული იყო მოტივირების და მოტივაციის ამაღლების საკითხები, ასევე მომხმარებლის მოტივაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა პროგრამის ხელმძღვანელს, მერაბ მიქელაშვილს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით, პროგრამა იმსახურებდა აკრედიტაციას, გასათვალისწინებელი იყო რომ დაწესებულებას ჰქონდა კოლეჯის სტატუსი და მისი მოსაზრებით ასეთ ბიზნეს-სამართლებრივ სუბიექტებს უნდა ჰქონოდათ ხელშეწყობა. უნივერსიტეტების რაოდენობა უნდა დაბალანსებულიყო კოლეჯების საფუძველზე. დაწესებულებას ჰყავდა სერიოზული პარტნიორი, ბალტიის საერთაშორისო აკადემია, რომელსაც ჰქონდა 9 ფილიალი და ჰყავდა 8 000 სტუდენტი. მათ ჰქონდათ ინტენსიური მოლაპარაკებები პარტნიორობაზე და ელოდებოდნენ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის შედეგებს. იმის გამო რომ პროგრამამ ვერ გაიარა აკრედიტაცია შეიქმნა ერთგვარი ბარიერები თანამშრომლობის ნაწილში. ბალტიის საერთაშორისო აკადემია ასევე მზად იყო მათთვის გაეწია ფინანსური მხარდაჭერაც და სურდათ დაწესებულება საქართველოში ყოფილიყო მათი პარტნიორი.

საბჭოს წევრი, ირაკლი მჭედლიშვილი დაინტერესდა თუ რით იყო გამოწვეული მათი ინტერესი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიის წარმომადგენლები ჩამოსულები იყვნენ საქართველოში, მათი მოსაზრების დაწესებულება ფლობდა სერიოზულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რაც მათ ქვეყანაშიც კი წარმოადგენდა იშვიათობას. ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ, რომელიც გახლდათ საერთაშორისო ექსპერტი დიდი ბრიტანეთიდან აღინიშნა დაწესებულების უპირატესობა მატერიალური ბაზის თვალსაზრისით კოლეჯებს შორის.



საბჭოს წევრი, ზურაბ გასიტაშვილი დაინტერესდა სტუდენტების რაოდენობით და განაცხადა, რომ როგორც იყო აღნიშნული პირველ და მეორე კურსზე ერთიანი ეროვნული გამოცდებით პროგრამაზე ჩარიცხული იყო 12 სტუდენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე სწავლობდა ორასამდე სტუდენტი, 12 სტუდენტი ნამდვილად ჩაირიცხა ერთიანი ეროვნული გამოცდებით, განხორციელდა ასევე სტატუსის აღდგენა და მობილობა, რომლის მეშვეობითაც შეივსო სტუდენტების რაოდენობა.

საბჭოს წევრმა ირაკლი მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ ყველა საგანი მოიცავდა 5 კრედიტს მაშინ როდესაც მოცულობით და შედეგებით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ასევე მას აინტერესებდა როგორ უზრუნველყოფდა სტუდენტების რაოდენობის მიუხედავად დაწესებულება აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველა საგანი ფასდებოდა 5 კრედიტით, აღნიშნული არ ეწინააღმდეგებოდა სტანდარტს. ასევე სტუდენტების რაოდენობის მიხედვით პროგრამა იყო თვითკმარი, დაწესებულებას არ ჰქონდა დიდი ფინანსური მოგება, მათ ჰქონდათ ინვესტიცია და დაწესებულება ფინანსურად იყო უზრუნველყოფილი და მყარი. დაწესებულების ბიუჯეტი შეადგენდა დაახლოებით 2 მილიონ ლარს.

საბჭოს წევრი, ირაკლი მჭედლიშვილი დაინტერესდა სწავლის საფასურის ოდენობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწავლის საფასური შეადგენდა 2250 ლარს. დაწესებულების ინვესტორი გახლდათ მათი კოლეჯის კურსდამთავრებული. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ ახალი პროგრამა იქმნებოდა მათ პარტნიორთან, ბალტიის საერთაშორისო აკადემიასთან ერთად. მათი მხრიდან დასმული იქნა საკითხი, რომ თუ მათ სურდათ ეფიქრათ პერსპექტივაში ორმაგ დიპლომზე უნდა ყოფილიყო პროგრამებს შორის თავსებადობა. მათ დაწესებულებაში ყველა საგანი იყო 5 კრედიტიანი, შესაბამისად მათი რჩევის შესაბამისად მათი საგნებიც განისაზღვრა 5 კრედიტით.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს სხდომაზე მოწვეულ წევრს, გიორგი თურქიას.

გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნა 6 თვის წინ, ის ისაუბრებდა იმ საკითხებზე, რომლის შესახებ მან დააფიქსირა თავისი მოსაზრებები. მისი მოსაზრებით ბიზნესის მიმართულებაში ინგლისური უნდა ყოფილიყო სავალდებულო სასწავლო კურსი, სილაბუსებში აუცილებლად გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ინგლისურენოვანი ლიტერატურა, მითუმეტეს მაშინ როდესაც საუბარი იყო ბალტიის საერთაშორისო აკადემიასთან თანამშრომლობაზე და ორმაგი დიპლომის გაცემაზე. რაც შეეხებოდა მოსაზრებას ფინანსებთან დაკავშირებით, ყურადღება გამახვილებული იყო ბიზნესის საფუძვლების საგანზე, როდესაც სტუდენტი ირჩევდა ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალიზაციას, მას უნდა გამოემუშავებინა კომპლექსური ხედვა ბიზნესზე, მნიშვნელოვანი იყო წარმოდგენის შექმნა ფინანსურ პროცესებზე და შესაბამისად უნდა ესწავლებინათ ფინანსური აღრიცხვა და ფინანსები. ასევე მნიშვნელოვანი იყო მენეჯერული აღრიცხვის

სწავლებაც და უნდა გამიჯნულიყო ფინანსური მენეჯმენტი და კორპორატიული ფინანსები. რა შეეხებოდა ტერმინს „ფულის ფასი დროში და ფულის ღირებულება დროში“, სწორი ტერმინი იყო ფულის ღირებულება დროში და სტუდენტს აუცილებლად უნდა მიწოდებოდა სწორი ინფორმაცია.

გიორგი თურქიამ ასევე განაცხადა, რომ მათ სწავლებაში ხელს არ უშლიდა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, ვინაიდან დაწესებულება გახლდათ ავტორიზებული და ავტორიზებულ რეჟიმში შეეძლოთ პროგრამაზე სასწავლო პროცესის განხორციელება. მისი მოსაზრებით საბჭოს გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო ნიშანი იმისა რომ გამოესწორებინათ ხარვეზები და გაეუმჯობესებინათ პროგრამა.

საბჭოს წევრი გრიგორ ტატიშვილი დაინტერესდა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე თუ წარიმართა დავა ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა „ფულის ფასი დროში და ფულის ღირებულება დროში“ და თუ იქონია აღნიშნულმა გავლენა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულმა დავამ ნამდვილად მოახდინა გავლენა.

გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ სხდომაზე არ ყოფილა დავა მხოლოდ ტერმინზე, გაუღერებული იქნა მრავალი საკითხი რამაც საბოლოო ჯამში საბჭოს გადაწყვეტილებაზე იქონია გავლენა.

საბჭოს წევრმა, ზურაბ გასიტაშვილმა განაცხადა, რომ მან ვერ დაინახა გიორგი თურქიას განწყობილებაში ნეგატიური დამოკიდებულება დაწესებულების მიმართ. პირიქით მას რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ის მზად იყო ახლავე მიეცა აკრედიტაცია პროგრამისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა გოჩა თუთბერიძეს, რომელიც გახლდათ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე განსახილველი პროგრამის შეფასების დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმის თანახმად, აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მიმდინარეობისას მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და დაინტერესდა თუ რატომ იქნა შეფასებული პროგრამა მიმართებით როგორც მეტწილად შესაბამისი, მაშინ როდესაც აკადემიური პერსონალი იყო გასაძლიერებელი, ინტერნაციონალიზაციის ხარისხი არ იყო დამაკმაყოფილებელი და ა.შ.

გოჩა თუთბერიძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პროგრამა, ვინაიდან მიმდინარეობდა გადასვლა ახალ სტანდარტებზე რაც არ იყო ადვილი პროცესი. პროგრამა შემუშავებული იყო კარგად, თუმცა გარკვეული ხარვეზები შეინიშნებოდა სასწავლო კურსების სილაბუსებთან მიმართებით, რომელიც პროგრამასთან შედარებით უფრო ძველი სტანდარტით იყო გაკეთებული. ასევე სამუშაო იყო სწავლის მიზანთან და შედეგების დაკავშირებასთან მიმართებით, რაც გაიწერა რეკომენდაციებში. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა საუბარი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან სადაც გამოიკვეთა სრული ურთიერთგაგება. მიუხედავად მეორე სტანდარტის მეტწილად შესაბამისობისა ჯამში

6. 

პროგრამა ექსპერტების მიერ შეფასებული იყო დადებითად. რაც შეეხებოდა ალბათობის თეორიას, საკითხები განხილული იყო სხვადასხვა სილაბუსში რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იყო საკმარისი და უმჯობესი იყო ცალკე სასწავლო კურსის სახით შემუშავება. აღნიშნული დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნა.

საბჭოს წევრმა მიმართა გოჩა თუთბერიძეს და დაინტერესდა პროგრამას ჰქონდა თუ არა უარყოფითი კუთხით განმასხვავებელი ნიშანი ვინაიდან მას აინტერესებდა ობიექტურად თუ რატომ ეთქვა პროგრამას უარი აკრედიტაციაზე.

გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა რომ არსებითი შეუსაბამობა სტანდარტთან არ დაფიქსირებულა და ასეთის არსებობის შემთხვევაში აუცილებლად იქნებოდა ასახული დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და დაინტერესდა გეგმავდა თუ არა დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებას, თუ დარჩებოდნენ თავიანთ პოზიციაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაციების უმეტესობა გათვალისწინებული იყო. გაიზარდა აფილირებული პერსონალის რაოდენობა, რომელიც კონკურსის შედეგად შეადგენდა 12-ს. ასევე დაწესებულებაში შეიქმნა პროგრამული განვითარების და პვლევების ოფისი, რომელიც მუდმივად იზრუნებდა პროგრამის გაუმჯობესებაზე.

18:20 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 19:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უმაღლესი სასწავლებელ ჯორჯიას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28²-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა


„ 8 „

განსახილველად დაუბრუნდეს შპს უმაღლესი სასწავლებელ ჯორჯიას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ 19:05 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა

თავმჯდომარე:

ნოდარ პაპუკაშვილი



მდივანი:

გრიგორ ტატიშვილი

